



## პრესრელიზი

9 დეკემბერი 2011წ.

"სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" (ISFED) ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მასშტაბურ აქციას გამართავს. აქცია 10 დეკემბერს, 12:00-საათზე ერთდროულად დაიწყება დედაქალაქისა და რეგიონების 63 საარჩევნო ოლქში, რა დროსაც ორგანიზაციის თანამშრომლები და მოხალისეები საინფორმაციო მასალებს დაარიგებენ.

აქციის მიზანია საზოგადოების ყურადღების გამახვილება არჩევნებში მონაწილეობის უფლების მნიშვნელობის თაობაზე, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით. კერძოდ, დეკლარაციის 21-ე მუხლი ალიარებს, რომ:

"ყველას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში უშუალოდ ან მის მიერ თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით."

"სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხის ნებაა: ხალხის ნება უნდა გამოიხატოს პერიოდულ და სამართლიან არჩევნებში საყოველთაო და თანასწორი ხმის მიცემის უფლებით, ფარული კენჭისყრისა თუ სხვა თანაბარმნიშვნელოვანი თავისუფალი ხმის მიცემის პროცედურების გამოყენებით.

„არ დაკარგო უფლება,  
შექმნა ხელისუფლება!“

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

"სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება"

თამარ ჯიჯიხია

ტელ: [555 974474](tel:555974474)

1. აქციის ადგილი: მარნეული, რუსთავი, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, გარდაბანი, მცხეთა, დუშეთი, ყაზბეგი, ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ბორჯომი, ხაშური, გორი, კასპი, ბათუმი, ხულო, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი, ფოთი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური, გურჯაანი, თელავი, ყვარელი, საგარეჯო, ხარაგაული, თერჯოლა, საჩხერე, ზესტაფონი, ბაღდათი, ვანი, სამტრედია, ხონი, ჭიათურა, ტყიბული, წყალტუბო, ქუთაისი, ონი, ამბროლაური, ცაგერი, ლენტეხი, მესტია, აბაშა, სენაკი, მარტვილი, ხობი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ვაკე, გლდანი, ისანი, მთაწმინდა, კრწანისი, დიდუბე, ჩუღურეთი, ნამალადევი, სამგორი, საბურთალო.